case study

პარიზის ოპერა: ორი მოხატულობის ამბავი

სტატია მოამზადა თათია ბარბაქაძემ

პარიზის ნაციონალური ოპერის შენობის ინაუგურაცია 1875 შედგა. შენობა ნეობაროკოს სტილში ახალგაზრდა შარლ გარნიემ დააპროექტა. დარბაზის ჭერის მოხატულობა კი ჟიულ-ეჟენ ლენეპვუემ შეასრულა. პლაფონზე მხატვარმა დღისა და ღამის ფონზე მუზები და ხელოვნებასთან დაკავშირებული ალეგორიული სიუჟეტები გამოსახა. ჭერის მოხატულობა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში შეიცვალა. 1961 წელს პარიზის ნაციონალურ ოპერაში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, შარლ დე გოლმა პერუს რესპუბლიკის პრეზიდენტს უმასპინძლა. პრეზიდენტები საპატიო სტუმრებთან ერთად "დაფნა და ქლოეს" საბალეტო წარმოდგენას დაესწრნენ. წარმოდგენა მარკ შაგალის კოსტიუმებითა და დეკორაციით იყო გაფორმებული. ბალეტს საფრანგეთის კულტურის მინისტრი, ანდრე მალროც ესწრებოდა. შაგალის ხელოვნებით აღფრთოვანებულმა მალრომ პრეზიდენტისა და ოპერის ადმინისტრაციის თანხმობით, გადაწყვიტა, რომ პარიზის ოპერის ჭერის მოხატულობა თანამედროვე მხატვრობით შეცვლილიყო. ანდრე მალრომ ჭერის ხელახალი მოხატვა მარკ შაგალს დაავალა. მხატვარმა შეკვეთა გარკვეული ყოყმანის შემდეგ მიიღო. გადაწყდა, რომ ჟიულ-ეჟენ ლენეპვუეს მხატვრობა მარკ შაგალის მოხატულობით გადაფარულიყო. მოსახსნელი კონსტრუქციის წყალობით თავდაპირველი მხატვრობა არ დაზიანებულა[1]

240 კვ.მ.-ის კონსტრუქციაზე მარკ შაგალმა კლასიკოსი კომპოზიტორებისა და მათი ცნობილი ნაწარმოებების სიურრეალისტურ-ალეგორიული გამოსახულებები შექმნა.

ჭერის მოხატულობის შეცვლასთან დაკავშირებით ანდრე მალროს არგუმენტი ასეთი იყო: მითოლოგიური თემატიკით შემკული ჭერი იმდენად ბანალური და გავრცელებული სიუჟეტი იყო, რომ დროის სვლასთან ერთად მაყურებლისთვის ის უინტერესო გახდა. მიუხედავად ამისა, შაგალის ნამუშევრით XIX საუკუნის მხატვრობის ჩანაცვლებამ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. 1961-დან 1964 წლამდე (ახალი მოხატულობის ინაუგურაციამდე) არაერთი კრიტიკული მოსაზრება გამოითქვა. საზოგადოების ნაწილი ფიქრობდა, რომ ჭერის ხელახალი მოხატვა ვანდალიზმის ტიპური შემთხვევა იყო. საზოგადოების მეორე ნაწილი კი მიიჩნევდა, რომ "ოპერა გარნიე" გრანდიოზულს და ამავდროულად თანამედროვე სამხატვრო მიდგომებს იმსახურებდა.

დამატებითი ინფორმაცია: ოთხივე ჯგუფის მონაწილეებმა მსჯელობისას უნდა გაითვალისწინონ შემდეგი ფაქტორი:

[1] ჟიულ-ეჟენ ლენეპვუეს მოხატულობა 1986 წელს მოხსნეს და ორსეს მუზეუმში გადაიტანეს.

პარიზის ოპერის შენობა ექსტერიერისა და ინტერიერის დეკორთან ერთად კლასიფიცირებული ისტორიული ძეგლის სტატუსს 1923 წლიდან ატარებდა. ეს კი ნიშნავს შემდეგს: 1913 წელს საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო კანონი ისტორიული მონუმენტის შესახებ.

პარიზის ოპერის შენობა ექსტერიერისა და ინტერიერის დეკორთან ერთად კლასიფიცირებული ისტორიული ძეგლის სტატუსს 1923 წლიდან ატარებდა. ეს კი ნიშნავს შემდეგს: 1913 წელს საფრანგეთის პარლამენტმა მიიღო კანონი ისტორიული მონუმენტის შესახებ[2] . ტერმინი „ისტორიული მონუმენტი“ გულისხმობს არქიტექტურული ძეგლებისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებისთვის დღევანდელი გაგებით კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭებას. 1913 წლის კანონი 1994 წლამდე მოქმედებდა. კანონის 21-ე მუხლის 22-ე ნაწილის თანახმად, დაუშვებელი იყო კლასიფიცირებული ობიექტების მოდიფიცირება, შეკეთება ან რესტავრაცია კომპეტენტური ორგანოს ნებართვის ან კულტურის საქმეთა ადმინისტრაციის (შემდგომში კულტურის სამინისტროს) ზედამხედველობის გარეშე. წინა პუნქტის გათვალისწინებით, სამუშაოების ჩასატარებლად ავტორიზაციას გასცემდა რეგიონაული პრეფექტი, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც თავად კულტურის მინისტრს არ ჰქონდა საკითხის წინა პლანზე წამოწევა გადაწყვეტილი.[3]

[2] https://www.culture.gouv.fr/en/Thematic/Monuments-Sites/Historical-monuments-heritage-sites/A-little-history/Centenary-of-the-law-of-1913
[3] https://www.legifrance.gouv.fr/loda/id/JORFTEXT000000315319

იმსჯელეთ:

საკითხი N1 - გადაწყვეტილება

1. როგორ ფიქრობთ, ანდრე მალროს ინიციატივა გამომდინარეობა წმინდა სახის ესთეტიკური ამოცანებიდან თუ მისი მხრიდან იყო, ერთგვარი, ეპატაჟური ნაბიჯი, რათა ოპერა საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცია? იმსჯელეთ არგუმენტირებულად.
2. შეაფასეთ ანდრე მალროს მოსაზრება ჟიულ-ეჟენ ლენეპვუეს მოხატულობის შესახებ. იმსჯელეთ არგუმენტირებულად.
3. დამატებითი ინფორმაციის გათვალისწინებით, როგორ ფიქრობთ, ჰქონდა თუ არა, სახელმწიფო პირს ამგვარი გადაწყვეტილების მიღების უფლება? იმსჯელეთ არგუმენტირებულად.
4. გაეცანით “ვენეციის ქარტიის” (1964 წ.) ტექსტს. მოძებნეთ კონკრეტული პარაგრაფები, რომელიც ეწინააღმდეგება ანდრე მალროს გადაწყვეტილებას. (დანართი N1)

იმსჯელეთ:

საკითხი N2 - ვანდალიზმი

1. გაიხსენეთ, რას ნიშნავს ტერმინი “ვანდალიზმი”.

2. ვანდალიზმის რომელ ფორმას შეიძლება მივაკუთვნოთ მოცემული შემთხვევა?

3. არგუმენტირებულად იმსჯელეთ, რამდენად გამართლებულია ნამუშევრის მხატვრული ღირებულების შეფასებით მისი საჯარო სივრციდან დამალვა?

4. არის თუ არა თქვენ გარშემო ხელოვნების ნიმუში (კედლის მხატვრობა, ძეგლი, არქიტექტურული დეკორი), რომლის მხატვრული ღირებულების ან ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით ისურვებდით, რომ მუზეუმში იყოს განთავსებული და არა საჯარო სივრცეში? რატომ?

იმსჯელეთ:

საკითხი N3 - მხატვრული ღირებულება

1. პრეზენტაციის გამოყენებით იმსჯელეთ ჟიულ-ეჟენ ლენეპვუესა და მარკ შაგალის მიერ შექმნილი მოხატულობის შესახებ. ყურადღება გაამახვილეთ ნამუშევრების შინაარსსა და დეტალებზე. ასევე გამოყავით მხატვრულ-სტილისტური მახასიათებლები და დაუკავშირეთ ეპოქების კონტექსტებს.

2. არგუმენტირებულად დაეთანხმეთ ან უარყავით შემდეგი მოსაზრებები:

   ● მარკ შაგალის ნამუშევარი არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიჭრა თანამედროვე მხატვრობა კონსერვატიულ სივრცეში, დაარღვია ინტერიერის მხატვრული მთლიანობა, ხოლო ოპერა სკანდალებისა და მითქმა-მოთქმის ობიექტად აქცია.

   ● მარკ შაგალმა შესრულებული ნამუშევრით გამოხატა პატივისცემა კლასიკური მუსიკის, ტრადიციის მიმართ. მარკ შაგალის მიერ მოხატული ჭერი წარმატებული შემთხვევა აღმოჩნდა, რა დროსაც წარსული და თანამედროვეობა ბუნებრივად დაუკავშირდა ერთმანეთს.

3. როგორ ფიქრობთ, რატომ არის ოპერის ჭერის მოხატულობა ასეთი მნიშვნელოვანი? მოცემული პრეზენტაციის მიხედვით, იმსჯელეთ, როგორ შეიცვალა დარბაზის ინტერიერი.

4. არგუმენტირებულად დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია: ჭერის რომელი მოხატულობაა თქვენთვის მისაღები. მსჯელობისას გაითვალისწინეთ ეპოქის (XIX-XX) კონტექსტი.

იმსჯელეთ:

საკითხი N4 - ეპატაჟი მაყურებლის მისაზიდად

1. შესაძლებელია თუ არა, მოცემულ შემთხვევას დადებითი გავლენა მოეხდინა ოპერის მაყურებლებზე? როგორ?

2. როგორ გგონიათ, რამდენად საჭიროა ისეთი კონსერვატორული დაწესებულებისთვის, როგორიც ოპერაა, ეპატაჟი?

3. წარმოიდგინეთ, რომ ცხოვრობთ 60-იანი წლების პარიზში. საზოგადოების რომელი ნაწილის აზრი იქნებოდა თქვენთვის მისაღები?

4. გამოთქვით ვარაუდი და მოიძიეთ ინფორმაცია, ამ შემთხვევის შემდეგ როგორ წარიმართა მარკ შაგალის კარიერა.

დანართი N1

ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციისა და რესტავრაციის საერთაშორისო ქარტია

(ვენეციის ქარტია 1964 წ.)

თაობების მიერ შექმნილი ისტორიული ძეგლები, რომლებიც წარსულის გზავნილს მოიცავს, დღემდე რჩება მათი ძირძველი ტრადიციების ცოცხალ მოწმედ. კაცობრიობა დღითიდღე რწმუნდება, რომ ადამიანებს საერთო ღირებულებები გააჩნიათ და პატივს მიაგებენ ისტორიულ ძეგლებს, როგორც საერთო მემკვიდრეობას. აღიარებულია, რომ მათი დაცვა მომავალი თაობების საერთო პასუხისმგებლობაა. თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა, ეს მემკვიდრეობა მისი ავთენტურობის მთელი სიმდიდრით გადავცეთ მომავალ თაობებს. არსებითია ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის ძირითადი პრინციპების შეთანხმება და დამტკიცება საერთაშორისო დონეზე, სადაც ყოველი ქვეყანა პასუხისმგებელი უნდა იყოს ამ პრინციპების განხორციელებაზე საკუთარი კულტურისა და ტრადიციების ფარგლებში. განისაზღვრა რა ეს ძირითადი პრინციპები 1931 წლის ათენის ქარტიაში, ამან დიდად შეუწყო ხელი ფართო საერთაშორისო მოძრაობის განვითარებას, რომელმაც კონკრეტული ფორმა მიიღო ეროვნულ დოკუმენტებში, ICOM-ისა და UNESCO-ს მუშაობაში და ამ უკანასკნელის მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რესტავრაციის შემსწავლელი საერთაშორისო ცენტრის (ICCROM) დაარსებით. მზარდი ცოდნა და კრიტიკული ხედვა მოშველიებული იქნა უფრო და უფრო გართულებული და მრავალფეროვანი პრობლემების გადასაწყვეტად. დღეს დადგა დრო, როცა ქარტია ხელახლა უნდა გადაისინჯოს, რათა საფუძვლიანად იქნას შესწავლილი კომპლექსური პრინციპები და გაფართოვდეს მისი მასშტაბი ახალ დოკუმენტში.

შესაბამისად, ვენეციაში, 1964 წლის 25-31 მაისს შეკრებილმა არქიტექტორთა და ისტორიული ძეგლების სპეციალისტთა II საერთაშორისო კონგრესმა დაამტკიცა შემდეგი ტექსტი:

განმარტებები

მუხლი 1. ისტორიული ძეგლის ცნება მოიცავს არა მხოლოდ ცალკეულ არქიტექტურულ ქმნილებას, არამედ ასევე ურბანულ ან სასოფლო-სამეურნეო გარემოს, რომელშიც მოიპოვება კონკრეტული ცივილიზაციის, მნიშვნელოვანი განვითარების ან ისტორიული მოვლენის დამადასტურებელი კვალი. ეს შეეხება არა მხოლოდ ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს, არამედ შედარებით მოკრძალებულ ნამუშევრებსაც, რომლებმაც დროთა განმავლობაში შეიძინა კულტურული მნიშვნელობა.

მუხლი 2. ძეგლთა კონსერვაცია და რესტავრაცია უნდა იშველიებდეს ყველა იმ სამეცნიერო დარგსა და ტექნოლოგიას, რომელსაც შეუძლია, ხელი შეუწყოს არქიტექტურული მემკვიდრეობის შესწავლასა და დაცვას.

მუხლი 3. ძეგლთა კონსერვაციის და რესტავრაციის მიზანია, ძეგლის, როგორც ხელოვნების ნიმუშის დაცვა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი, როგორც ისტორიული მოწმობის შენარჩუნება.

კონსერვაცია

მუხლი 4. ძეგლთა კონსერვაციისთვის არსებითია მათი მუდმივი მოვლა.

მუხლი 5. ძეგლთა კონსერვაციის ხელშეწყობისთვის მუდმივად ხდება მათი გამოყენება საზოგადოებისთვის სასარგებლოდ. შესაბამისად, ასეთი გამოყენება სასურველია, თუმცა დაუშვებელია ამ მიზნით შენობის გეგმარებითი სტრუქტურის ან დეკორის შეცვლა. ფუნქციის ცვლილებით გამოწვეული გადაკეთება მოაზრებულ და ნებადართულ უნდა იქნას მხოლოდ ამ შეზღუდვების გათვალისწინებით.

მუხლი 6. ძეგლის კონსერვაცია გულისხმობს იმ გარემოცვის შენარჩუნებას, რომელიც არ არღვევს მასშტაბს. ყოველთვის, როცა არსებობს ტრადიციული გარემო, იგი შენარჩუნებული უნდა იქნას. დაუშვებელია იმგვარი ახალმშენებლობა, ნგრევა, ან გადაკეთება, რომელიც შეცვლის მასისა და ფერის არსებულ ურთიერთმიმართებას.

მუხლი 7. ძეგლი განუყოფელია ისტორიისგან, რომლის მოწმედაც იგი გვევლინება და გარემოსგან, რომელშიც ის ჩამოყალიბდა. ძეგლის ან მისი ფრაგმენტის გადაადგილება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამას მოითხოვს მისი გადარჩენის აუცილებლობა ან ეს ქმედება გამართლებულია უმაღლესი მნიშვნელობის ეროვნული თუ საერთაშორისო ინტერესებით.

მუხლი 8. ქანდაკების, მხატვრობის ან დეკორატიული მორთულობის ელემენტი, რომელიც წარმოადგენს ძეგლის განუყოფელ ნაწილს, შეიძლება მოიხსნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს მისი შენარჩუნების ერთადერთი გზაა.

რესტავრაცია

მუხლი 9. რესტავრაციის პროცესი უაღრესად სპეციალიზებული საქმიანობაა. მისი მიზანია ძეგლის ისტორიული, ესთეტიკური ღირებულებების შენარჩუნება, გამოვლენა და დაფუძნებულია თავდაპირველი მასალისა და ავთენტური დოკუმენტების პატივისცემაზე. რესტავრაცია უნდა შეწყდეს იქ, სადაც იწყება ვარაუდი და, უფრო მეტიც, იმ შემთხვევაში, როცა დამატება გარდაუვალია, ნამუშევარი უნდა გამოირჩეოდეს არქიტექტურული კომპოზიციიდან და ატარებდეს თანამედროვეობის ნიშანს. ყველა შემთხვევაში, რესტავრაციას წინ უნდა უძღოდეს და მოსდევდეს ძეგლის არქეოლოგიური და ისტორიული შესწავლა.

მუხლი 10. როცა ტრადიციული ტექნოლოგიები არაადეკვატურია, ძეგლის კონსოლიდაცია შეიძლება კონსერვაციისა და მშენებლობის ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით, რომლის ეფექტურობა დადასტურებულია სამეცნიერო მონაცემებით და დამტკიცებულია გამოცდილებით.

მუხლი 11. გასათვალისწინებელია ძეგლის მშენებლობაში შეტანილი ყველა პერიოდის ღირებული წვლილი, რადგანაც სტილისტური ერთიანობა არ წარმოადგენს რესტავრაციის მიზანს. როდესაც შენობა შეიცავს სხვადასხვა პერიოდის ზედდებულ ფენებს, ქვედა ფენის გამოვლენის მიზნით გვიანდელი ფენების მოხსნა შეიძლება გამართლებულ იქნას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში და როცა მოხსნილი ფენა მცირედი მნიშვნელობის მქონეა, გამოვლენილი მასალა კი დიდი ისტორიული, არქეოლოგიური და მხატვრული ღირებულების მქონეა და საკმაოდ კარგადაა

შემონახული იმისთვის, რომ გამართლებულ იქნას ეს ქმედება. კომპლექსური ელემენტების მნიშვნელობის შეფასება და გადაწყვეტილების მიღება იმის შესახებ, თუ რა შეიძლება იქნას დანგრეული, არ შეიძლება მინდობილ იქნას მხოლოდ ამ სამუშაოზე პასუხისმგებელ ერთ პიროვნებაზე.

მუხლი 12. ნაკლული ელემენტების შევსება უნდა მოხდეს მთელთან ჰარმონიულად, მაგრამ, ამავდროულად, უნდა გამოირჩეოდეს თავდაპირველისგან, იმგვარად, რომ რესტავრაცია არ აყალბებდეს მხატვრულ ან ისტორიულ მტკიცებულებას.

მუხლი 13. დამატებები დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს არ აკნინებს შენობის საინტერესო ნაწილებს, მის ტრადიციულ გარემოცვას, მისი შემადგენლობის ბალანსს და მის კავშირს შემოგარენთან.

ისტორიული ადგილები

მუხლი 14. ძეგლების ტერიტორია განსაკუთრებული ზრუნვის საგანი უნდა იყოს, ძეგლის მთლიანობის დასაცავად უზრუნველყოფილი უნდა იქნას მისი გასუფთავება და სათანადოდ პრეზენტაცია. ასეთ ადგილებში განხორციელებული საკონსერვაციო და სარესტავრაციო სამუშაოები განმსჭვალული უნდა იყოს წინამდებარე მუხლებში განმარტებული პრინციპებით.

არქეოლოგიური გათხრები

მუხლი 15. გათხრები უნდა განხორციელდეს სამეცნიერო სტანდარტების და UNESCO-ს მიერ 1956 წელს მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს არქეოლოგიური გათხრების შემთხვევაში გამოსაყენებელ საერთაშორისო პრინციპებს. ნანგრევები უნდა შენარჩუნდეს და მიღებულ უნდა იქნას სათანადო ზომები არქიტექტურული მახასიათებლების და აღმოჩენილი ობიექტების მუდმივი კონსერვაციისა და დაცვისათვის. მეტიც, ყოველი საშუალება უნდა იქნას გამოყენებული ძეგლის აღქმის ხელშეწყობისა და გამოვლენისთვის მისი საზრისის დამახინჯების გარეშე. ნებისმიერი სარეკონსტრუქციო სამუშაო უნდა გამოირიცხოს. მხოლოდ ანასტილოზი, ე.ი. არსებული, მაგრამ განცალკევებული ნაწილების ხელახლა შეერთება შეიძლება იქნას დაშვებული. გამთლიანებისათვის გამოყენებული მასალა მუდამ ცნობადი უნდა იყოს, ხოლო მისი მოხმარება - უმცირესი, რაც უზრუნველყოფს ძეგლის კონსერვაციას და მისი ფორმის აღდგენას.

პუბლიკაციები

მუხლი 16. შენარჩუნების, რესტავრაციის ან გათხრების სამუშაოებს მუდამ უნდა ახლდეს ნახაზებითა და ფოტოებით ილუსტრირებული ზუსტი დოკუმენტაცია ანალიტიკური და კრიტიკული ანგარიშების სახით. გაწმენდის, კონსოლიდაციის, გადაკეთების და ინტეგრაციის ყოველი ეტაპი, ისევე როგორც სამუშაოს მსვლელობისას გამოვლენილი ტექნიკური და გარეგნული მახასიათებლები, ჩართული უნდა იყოს ანგარიშებში. ეს მასალა უნდა განთავსდეს საჯარო დაწესებულების არქივში და ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ყველა მკვლევრისთვის. რეკომენდებულია ანგარიშის გამოქვეყნება.

წყარო: ICOMOS-ის საერთაშორისო ქარტიები და დოქტრინები; გვ.:7,8,9